



ბორჯომი

8 ლექსი
ხუთშაბათი
2022 წელი
№50 (9260)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების განყოფილება 1931 წლის 20 ივლისიდან

მთავრობის საკუთრებაში მდებარე ტერიტორიის განვითარებაზე მუშაობს!



ირაკლი ლარბაშვილის ხელმძღვანელობით, ეკონომიკური საბჭოს სხდომა გაიმართა. მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ეკონომიკურ ტენდენციებსა და სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს.

სხდომის მონაწილეებმა ახალი საკურორტო ზონების განვითარების გეგმა განიხილეს, რომელზეც პრემიერ-მინისტრის დაავალებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აქტიურად მუშაობს. აღინიშნა, რომ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისა და სტიმულირებისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვიზიტორთა მოცულობის ზრდა და ამისთვის კურორტების, მათ შორის ბალნეოლოგიური კურორტების განვითარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ახალი ტურისტული ადგილების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის

ბიუჯეტიდან 200 მილიონი ლარი გამოიყოფა.

აღინიშნა, რომ მთავრობა 10 ახალი საკურორტო ქალაქსა და დაბების სრულ რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციაზე მუშაობს. პროექტები რამდენიმე მიმართულებით განხორციელდება და მოიცავს როგორც ტურისტულად მიმზიდველი ადგილების განვითარებას, ისე ბიზნესისთვის საინვესტიციო შეთავაზებების შექმნას, რითიც დამატებითი სამუშაო ადგილები შეიქმნება.

საუბარი ასევე შეეხო ქვეყნის სივრცის დაგეგმარების გეგმის შემუშავების პროცესს. აღინიშნა, რომ აქტიურად მიმდინარეობს ტექნიკურ დავალებზე მუშაობა და უახლოეს პერიოდში კონკურსის წესით შეიჩვენება კონსორციუმი, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან როგორც ადგილობრივი, ისე წამყვანი უცხოური კომპანიები. კონსორციუმი ერთი წლის ვადაში დაამუშავებს გეგმის განვითარების კონცეფციას.

გამგზავნიან ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას!

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეებმა: დავით ვარდიაშვილმა, შოთა როსტიაშვილმა, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა ოთარ არბოლიშვილმა, მერის მოადგილემ გიორგი ტაბატაძემ, სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურების თანამშრომლებთან ერთად მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერეს.

ხელისუფლების წარმომადგენლები მას შტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტს ადგილზე გაეცნენ და სამუშაოების მიმდინარეობის ხარისხი შეისწავლეს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ლარბაშვილის ინიციატივით დაწყებული სახელმწიფო პროგრამის „გა-

იტორია გალამაზდება შადრევანებით და დეკორატიული განათებით. ფუნქციური ზონები ერთმანეთს დაუკავშირდება გრანიტის ქვაფენილით, რომელიც განათებული იქნება ლამპონებით. ტერიტორიაზე განთავსდება სკამები და სასმელი წყლის ბიუჯეტები.

კოსტავას სახელობის მოედნის რეაბილიტაცია დასრულდა. პროექტის ფარგლებში გზის სავალი ნაწილის ქვაფენილით მოპირკეთდა, ფხვით სავალი ნაწილზე გრანიტის ფილები დაიგო, მოედნის მიმდებარედ სკვერი მოეწყო.

პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 4 200 000 ლარით ფინანსდება.

ბორჯომში, რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე მტკვრის სანაპიროზე ახალი სკვერის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტის მიხედვით ტერიტორიაზე მოენ-



ნახლებული რეგიონები“ ფარგლებში, ბორჯომში მერაბ კოსტავას სახელობის სკვერის განახლებარეაბილიტაცია მიმდინარეობს.

კოსტავას სახელობის ბაღის რეაბილიტაციის ფარგლებში ტერიტორია დაიყო მოსასვენებელ და გასართობ სივრცეებად. გასართობ სივრცეებში საბავშვო მოედანი, ჭაღრაკის მოედანი და ღია კინოთეატრი მოეწყო. ტერ-

კობა საყრდენი კედელი, შიდა ბილიკები, განთავსდება საბავშვო ატრაქციონები, ფიტნეს-ტრენაჟორები, ფანჯატური, წყლის ბიუჯეტი, დეკორატიული საბაღე სკამები, სანაგვე ურნები, დამონტაჟდება დეკორატიული ლამპონები და ჩატარდება გამწვანების სამუშაოები. პროექტი ორ ეტაპად განხორციელდება და მისი საერთო ღირებულება 846 155 ლარს შეადგენს.

სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ბავშვთა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ, სოციალური პროგრამების ფარგლებში, ნოემბერში 166 091 ლარის დაფინანსება გასცა. აღნიშნული თანხით, მუნიციპალიტეტმა დახმარება 670 ბენეფიციარს გაუწია.

82 842 ლარი, 112 მოქალაქეს სტაციონარული მომსახურებისათვის გამოიყო. მედიკამენტების შესაძენად 68 ბენეფიციარი 7 952 ლარით დაფინანსდა. ონკოლოგიური დაავადებების მქონე 38 პაციენტი 29 796 ლარით დაფინანსდა.

100 მრავალშვილიანი ოჯახი 19 100 ლარით დაფინანსდა. სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს 338 პირებმა, დედამათობა და სხვა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში 25-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება.

პროგრამის მთავარი მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი მხარდაჭერა.

ბავშვთა სასაზღვრო საზოგადოებრივი ორგანიზაციის - შანსი

რამდენიმე დღის წინ დიდხალისა და ორივე კოხტას ტრასების დირექტორთან გეგმა გეგმიურად ერთად დავათვალიერე სამთოსათხილამურო ტრასები, სადაც მომავალი წლის თებერვალში გაიმართება მსოფლიო პირველობა სამთოსათხილამურო სპორტში. ეს უდიდესი ღონისძიება იქნება.

ბაკურიანის სათხილამურო ტრასების მხახველები აღტაცებას გამოხატავენ - მიმდინარეობს დიდ მასშტაბიანი სამუშაოები. დაწინაურდით, რომ შეჯიბრება ჩატარდება უმაღლეს დონეზე. ასეთი პრესტიჟული შეჯიბრების ჩატარებაში ლომის წილი უდევთ გიორგი რამიშვილს, ბიძინა ჩიანჭიშვილს და გოგი თოფაძეს. შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის ძალღონეს არ იმყოფებენ თამაზ გამცილებლები, გეგმა გეგმიურად, ირაკლი პეტრიაშვილი, დავით კოხტაშვილი, თამაზ იაშვილი, გიორგი კოჭლაშვილი, ირაკლი ფიქრიაშვილი, ალექსი ბოჭორიშვილი და სხვა ახალგაზრდა ენთუზიასტები.

ათეული წლების წინ კობა წაქაძემ ბაკურიანი გააქცო მსოფლიოს, ამჟამად კი ბაკურიანი კიდევ უფრო ცნობადი გახდება მსოფლიო დონის შეჯიბრებით. ვიქონიოთ იმედი, რომ მომავალში ბაკურიანში ალბათ ვიხილავთ ოლიმპიურ თამაშებსაც.

გაგიჟებდათ: ალპურ ზონაში, დაახლოებით 1800 მეტრ სიმაღლეზე მოწყობილია ორი დიდი ზომის წყლით სავსე აუზი, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ მცირე თოვლიანობის შემთხვევაშიც შეჯიბრება მაინც გაიმართება.

სასიხარულოა, რომ ბაკურიანის მთავარ ქუჩაზე მიმდინარეობს ლამაზი ლობებისა და ტროტუარების მოწყობა, ამასთან განახლდა ნაგვის ურნები, ისინი ვიზუალურად იმდენად ლამაზია, რომ პირველ ხანებში ნაგვის ჩაყრა კი გვერიდებოდა.

ბაკურიანის პარკში მიმდინარეობს განახლება-გალამაზება. სამუშაოების დამთავრების შემდეგ პარკი გახდება ულამაზესი, მიმზიდველი ადგილი.

გულწრფელი მადლობა და პატივისცემა ეკატერინე ორჯონიკიძეს, ბესარიონ ფილაურს და კახა დიაკონაშვილს - ღმერთმა დაგლოცოთ!

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბაკურიანის განახლებას შავ ლაქად ამჩნევია უთავბოლო და ამაზრზენი მშენებლობები. ბაკურიანი ემსგავსება რას? - ვერ ვპოულობ უხერხულ სიტყვებს (ამასთან მერიდება). დროა გამოვფხიზლდეთ - ვისაც გეკუთვნიან! წინააღმდეგ შემთხვევაში დაფასებულ, გამორჩეულ და დიდი ტრადიციების მქონე ბაკურიანს გადავარქვით სახელი!!!

დიდი მორიდებით და პატივისცემით ოთარ გოცირიძე.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მა-

ლაღმითან სოფლებში საკირესა და დეგარში შიდა საუბნო გზის 1640 მეტრ მონაკვეთზე არმორებული ბეტონის საფარის დაგება მიმდინარეობს. ასევე, ეწყობა ეზოებში შესასვლელი და სანიაღვრე სისტემა.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაცნობ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გიორგი ტაბატაძე.

სოფელ დეგარში და საკირეში შიდა საუბნო გზა დაზიანებული იყო, რაც ართულებდა აღნიშნულ მონაკვეთზე გადაადგილებას. ადგილობრივ მოსახლეობას ახლა უკვე საშუალება ექნება, იმოძრაონ განახლებული, კომფორტული და გაცილებით უსაფრთხო გზით.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 237 601 ლარი გამოიყო.



გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წელს დაიწყო და მომავალ წელს დასრულდება.

„გაშიონატი, იაქატი, იაითხატი გაუთი „პოკაოთი“!

წლის ბოლო თვე - დეკემბერი დადგა. ეს თვე გადამწყვეტია ბუნებრივი მედიისათვის. ამ თვეში ეწყობა საფუძველი მომავალი წლის წარმატებით დაწყებას, ანუ ტრადიციულ გაზეთ „ბორჯომის“ ხელმოწერა-გაფრცხვლება- გადარჩენას.

ბუნებრივია, გაზეთის ხელმოწერა სიმრავლე გადამწყვეტია. მთავარია საუკუნის მითანბნული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო და საინფორმაციო გაზეთმა „ბორჯომმა“ სიცოცხლე გააგრძელოს.

ამიტომ მოგმართავთ ჩვენი ხეობის წინააღმდეგ მცხოვრებლებს, ვისაც ჯერ კიდევ უყვარს კითხვა, შეგახსენებთ, გამოიწერეთ სანდო, სამართლიანი, ფუნდამენტური ეთიკის ყველა ნორმის დაცვით გამორჩეული გაზეთი „ბორჯომი“. იგი ერთადერთია მთელ სამცხე-ჯავახეთის მხარეში, რომელიც რეგულარულად კვირაში ერთხელ გამოდის და ვრცელდება ჩვენს მუნიციპალიტეტში.

გაზეთი მკითხველის გარეშე არ არსებობს, ამიტომ მოგიწოდებთ, არ დარჩეთ გაზეთის გარეშე, რომელშიც ქვეყანაში ობიექტური და სანდო ინფორმაციები, თუ გინდათ გაზეთი შინაარსობრივად უფრო საინტერესო გახდეს, მოგვწერეთ წერილები, თქვენი შეხედულებები რაიონში მიმდინარე აქტუალურ პროცესებზე ჩვენი გაზეთის შესახებ, თქვენს რჩევა-შენიშვნებს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

გაზეთ „ბორჯომს“ პრესის გამაგრებლები ბინაზე მოგიტანენ. მთელი წლით გაზეთის გამოწერის ღირებულება 20 ლარია. უსაშველოდ გაძვირებული პოლიგრაფიული მომსახურების მიუხედავად, რედაქციას არ გაუზრდია გაზეთის ღირებულება.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ პრესის გამაგრებლებთან და რედაქციაში ჩვენი მისამართით: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ.

№2. ტელ. 22-29-65: 599 227 929.

გაზეთი „ბორჯომის“ რედაქცია

პარტიკულარული რეაქცია აბორტებზე

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე თითქმის ყოველწლიურად ვაჭყენებ საქართველოში და კერძოდ, ბორჯომში არსებულ დემოგრაფიულ საგანგაშო სტატისტიკას. 1985 წლიდან ვაგროვებ დემოგრაფიულ სიტუაციასთან დაკავშირებულ არაერთ საგულისხმო მასალას, ვაინალიზებ და ახლა სახალხოდ მინდა განვახილო. - **ქართველი ერის გამრავლების საქმე მეტად საგანგაშო ნიშნულს უახლოვდება.** განვლილი წლებში ერთ წლიდან წლამდე მცირდება და კნინდება. თუ 1989 წლის საყოველთაო აღწერით ქართველებმა 5 მილიონს გადააჭარბეს, დღეს მხოლოდ 3,7 მილიონი დავრჩით. ამ საგანგაშო მაჩვენებელს მივალწინებ 33 წლის მანძილზე გაეროს შესაბამისმა სამსახურმა შეისწავლა ერების დემოგრაფიული განვითარების პერსპექტივის საკითხი და ჩვენდა საუბედუროდ, მივიდინე დასკვნამდე, - მომდევნო 30 წელიწადში ქართველი ერთი 30 პროცენტით შემცირდება და ერთი საკუთარ ქვეყანაში უმცირესობაში აღმოჩნდება. XXI საუკუნის ბოლოსათვის ქართველი სახლით საქმენი იქნება მსოფლიოში და საქარველოს სახელი მხოლოდ ისტორიას შემორჩება. ცნობილი დემოგრაფი **ანზორ თოდაძე** კი ზარებს არისებს და წერს: - **თუ ასეთი ტემპით გაგრძელდება ქართველი ერის შემცირება 5-6 წელიწადში საქართველოს რეგიონები გაუპაც-რეიდვს.**

დღეს, როცა გლობალიზაციის ტემპი დიდი სისწრაფით იზრდება, შორს აღარაა ის პერიოდი, რომ საქართველოში აზიის ქვეყნებიდან წამოსულმა არაბებმა, ირანმა და თურქეთის მოსახლეობამ დაიკავეს ქართველთა მიერ გამოთავისუფლებული ტერიტორიები. ცნობილი ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი** აცხადებს **„გეონომიკის სამინისტრო უცხოელებზე ყიდის ჩვენს მიწებს. კასპის რაიონში არაბების უზარმაზარი სოფლები გაშენდა... უცხო მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაყიდვა არ შეიძლება, ამიტომ იმ ადგილებს ისე აფორმებენ,**

როგორც უვარგის. წარმოიდგინეთ, 30 წლის შემდეგ, როდესაც თურქული, ირანული და არაბული სოფლები გაშენდება. ნუთუ ისეთი საქართველოთი გინდათ ევროპაში შესვლა, სადაც ქართველი ალბარ იქნება? მიწის გაყიდვა სამშობლოს გაყიდვის ტოლფასია. კვლავ სტატისტიკას მოვიშველიებ. გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში 454 ათასი გოგონა დაიბადა, 2003 წელს მხოლოდ - 226 ათასი, ხოლო 2020 წელს ჩვენს ქვეყანაში 4652 ახალშობილი დაიბადა. სამწუხაროდ, ისე შეიცვალა ადამიანების დამოკიდებულება შთამომავლობისადმი, რომ დღეს ოჯახებში ერთი შვილი და ორი ძალი ყვით. ეს კი ერის დაღუპვის წინაპირობაა, აცხადებს პროფესორი ანზორ თოდაძე. ქართველი ერის გადარჩენის წინაშე ორი უდიდესი პრობლემა დგას. ესაა: მიგრაცია და შობადობის შემცირება. ამ ორი პრობლემის უგულბელებით შეიძლება ერთი კატასტროფის წინაშე მიიყვანოს. ადრეც ვერდი და კვლავ მინდა გავიმეორო. საქართველოს მთელ რიგ კუთხეებში მოსახლეობისაგან დაიცალა სოფლები, თუ ეს პროცესი არ შეჩერდა, ქართველები გადაშენების პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით.

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდი, ძირითადად ემიგრაციაში მიდიან შრომისუნარიანი ახალგაზრდები. წასვლის მიზეზიც გარკვეულია. ახალგაზრდები ხაზგასმით აცხადებენ - სამშობლოში დარჩენას არანაირი პერსპექტივა არ აქვს, თუმცა ამ ახალგაზრდებს 2 ათასიდან 5 ათასამდე ხელფასი აქვთ, მაინც მიდიან. არადა, პირველი რიგში ახალგაზრდებმა უნდა გაიზარონ საფრთხე, რომ ჩვენ მცირერიცხოვანი ერთ ვართ და დემოგრაფიული პრობლემები სერიოზულია. სამწუხაროდ, ისინი ძირითადად, საშოვარზე არიან გადაბეჭდილი, თანამედროვე, მაღალტექნოლოგიურ ეპოქაში, ოჯახი და სამშობლო მათთვის მაღალ ღირებულებებს აღარ წარმოადგენს, რაც უპირველესად ყოფილი ხელისუფლების წლებში გახორციელებული ეროვნული იდეალების მიზანმიმართულ ჩაკე-

ლაში უნდა ვეძებოთ, რამაც დაანგრა ახალგაზრდების ფსიქა და ისინი მიიყვანა პრიმიტიულ აზროვნებამდე. არადა, ქართველი კაცისათვის ტრადიცია და მენტალობა მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ქართველი კაცი მიჯაჭვული იყო საყვარელ სამშობლოს. ის სხვა ერებისაგან განსხვავებით სამშობლოდან იშვიათად გადიოდა, რაც არ უნდა სხვაგან კარგად ეცხოვრა, სამშობლო ენატრებოდა, დაბრუნებაზე ფიქრობდა. სხვათაშორის, 2014



წლის აღწერით, საქართველოს მოსახლეობის 30 პროცენტს ეთნიკური ქართველი იყო, ეს დადებითი ბალანსი 30 წლის შემდეგ დაირღვევა და ქართველი საკუთარ მინასწაღზე უმცირესობაში აღმოჩნდება. დიდი ნვალების შემდეგ მოვიპოვე სამცხე-ჯავახეთის რეგიონის და კერძოდ, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებელი 2022 წლის იანვრიდან - ივნისამდე. ამ პერიოდში სამცხე-ჯავახეთში დაიბადა 682 ახალშობილი და გარდაიცვალა 1104 ადამიანი, ახალციხეში დაიბადა 170 ახალშობილი და გარდაიცვალა 280, **ბორჯომში დაიბადა 116 და გარდაიცვალა 226.** ასპინძის რაიონში, ჩვენ რაიონთან შედარებით ორჯერ მცირეა. დაიბადა 66 და 67 ადამიანი გარდაიცვალა, ახალქალაქში

და წინწინდაში შესაბამისად 149 და 90 ახალშობილი დაიბადა. სიკვდილიანობამ ამ რაიონებში თითქმის გაორმაგებულია. არასახარბიელოა დაქორწინებული და განქორწინებული მაჩვენებელი. განვლილი ექვს თვეში მხარეში იქორწინა 462 წყვილმა, განქორწინდა - 137. **ბორჯომში იქორწინა 71 წყვილმა, განქორწინდა - 29.** ახალციხეში იქორწინა 98, განქორწინდა - 42. ახალქალაქში იქორწინა 136 წყვილმა, განქორწინდა - 23, წინწინდაში იქორწინა 70 წყვილმა, განქორწინდა - 8. ანალიზი თქვენთვის მომინდება. ცნობილი ანალიტიკოსი **გია ხუხაშვილი წერს - ძალიან ცუდი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ განვლილ 30 წლის მანძილზე ფეხ ვერ გაუწყო პროგრესული ტექნოლოგიების ქვეყანაში დანერგვას, ცუდია, რომ ამდენი წლის განმავლობაში პროფესიული განათლების სისტემაც ვერ შექმნით. საქართველოში მაღალკვალიფიციური კადრების დეფიციტია. სალხიც იმიტომ გარბის ემიგრაციაში.** ამ თემას ერთი მეტად დამამიძებელი ინფორმაციათა დავამთავრებ. ორიოდე კვირის წინ მუნიციპალიტეტის მერთან ოთარ არბოლიშვილთან გვექონდა შეხვედრა, სადაც ბორჯომის დემოგრაფიულ პრობლემებზეც გავაჩვენებულე ყურადღება. სამწუხაროდ, ფაქტს წინაშე ვართ, ჩვენი ხეობის მთელ რიგ სოფლებში წელიწადში ერთი ან ორი ახალშობილი იბადება, ყოველი 3-4 სახლი გამოკეტილია და სახლი საშოვარზე არის წასული. ადგილობრივი ხელისუფლებაც საგონებელშია, ექვს გზებს ვითარების გასაუმჯობესებლად, ბევრზე კეთდება სოფლების აღორძინებისათვის, მაგრამ როგორც ჩანს, საკმარისი არაა. შეხვედრის ბოლოს ქალაქის მერმა განაცხადა, - ნამდვილად შეძრწუნებული ვარ დემოგრაფიული პრობლემებით, მომავალი წლიდან თითოეულ ახალშობილს 1000 ლარს გადავუხდითო. იქნებ ამ თანხამ ოდნავ მაინც დააინტერესოს ახალგაზრდა ოჯახები. პირადად მე ვეჭვობ, ამ დაინტერესებამ შედეგი გამოიღოს.

ვალერიან ლომიძე.

3 დეკემბერი შხა პირთა სართავორისო დღეა! მადლიერება მადლიერების სხაცვლოდ

მაიკო აბოიანის ცხოვრება 2015 წლის 31 მარტს რადიკალურად შეიცვალა, მაშინ, როდესაც სამყაროს მისი ერთადერთი ვაჟი დაეღიო (დაღუ, როგორც მას ეძახიან) დაიბადა. ჯერ კიდევ ორსულობის მეექვსე თვეში, როდესაც მორავ ექოსკოპის კვლევაზე მივიდა, სწორედ მაშინ უთხრა ექიმმა, რომ ეჭვი ეპარებოდა ნაყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, უთხრა, რომ რაღაც წესრიგში ვერ იყო, თუმცა, მაიკოს ერთადერთი შვილისთვის მხოლოდ სიცოცხლე ემეტებოდა და ასეც მოიქცა. მშობიარობა ორსულობის მერვე თვეში საკვირო კვეთით ჩატარდა. სწორედ დადუს დაბადების შემდეგ დაიწყო მაიკოსთვის, სრულიად განსხვავებული, უამრავი სირთულეებითა და უდიდესი გამოცდილებით აღსავსე ცხოვრება, რომელიც უკვე მერვე წელია გრძელდება. პროფესიით იურისტია, თუმცა აღნიშნული პროფესიით არასადროს უმუშავია. დადუს დაბადებამდე სარესტორნო საქმიანობაში, კვების მიმართულებით იყო ჩართული. დადუს დაბადებამ კი მისი ყოველდღიურობა, ცხოვრების სტილი რადიკალურად შეცვალა. დაბადების შემდგომ დადუს ჰიდროცეფალია, გულის მანკი, ცერებრალური დაზიანება, თავის ტვინის ქერქის ატროფია ოთხივე კიდურის ასპასტურ ტეტრაპლეგია დაუდგინდა. დაბადების პირველივე დღიდანვე დადუს-შვილს ორი თვის მანძილზე იაშვილის კლინიკაში მოუწიათ ცხოვრებამ, სადაც ურთულესი პერიოდი გამოიარეს. დადუს მდგომარეობა დადუს იმდენად მძიმეა, რომ ის სარეანიმაციო პაციენტია, თუმცა მაიკოს ყველა საჭირო სამედიცინო მასალა სახლში აქვს და ყველანაირი სახის დახმარებას, რაც დადუს სჭირდება შვილს თვითონ უწევს. მიყვება, რომ 2015 წლიდან დადუს მდგომარეობიდან გამომდინარე საჭირო გახდა მუდმივად თანხის მოძიება. დასაწყისში თანხებს საკუთარ დანაშაულებით ფარავდა. თუმცა 2018 წელს, როდესაც დაამძიდა დადუს მდგომარეობა და რეანიმაციით თბილისში კლინიკაში გახდა საჭირო გადაყვანა, მაშინ გაასაჯაროვა მაიკომ სოციალურ ქსელში საკუთარ ფეისბუქს გვერდზე ინ-

ფორმაცია იმის შესახებ, რომ შვილისთვის დახმარება სჭირდებოდა. სწორედ აქედან გაიგო თითქმის მთელმა საქართველომ და სხვა ქვეყნებში მცხოვრებმა ემიგრანტებმა დადუს შესახებ. მაიკო მიყვება, რომ რამდენიმე ადამიანმა საკუთარი ინიციატივით ქველმოქმედების სახით დადუსს ყუთი საკუთარ სავაჭრო სიწვეებში. **ნათია ლომიძე**, რომლის მშობლებსაც მაღაზია ჰქონდათ. „გეოპოსტალის“ მიმდებარედ საქველმოქმედო ყუთი გა-



ნათავსეს. იქ ჩაყრილი თითოეული თეთრი ჩემთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო იმ მიმე დღეებში, რომ დღესაც მასსოვს ის ემოცია, მიახმობს მაიკო. ქველმოქმედების ყუთი დგას სავაჭრო ცენტრ „გუდმარტში“. ანსამბლ „ფერხისის“ ხელმძღვანელმა, ქორეოგრაფმა **ნინო მდივნიშვილმა** რამდენჯერმე გამართა საქველმოქმედო კონცერტი „დადუსთვის“. დადუს დაბადებიდან დღემდე მაიკოს გვერდით უდგანან, დედა, ქალბატონი შოთა, რომელიც მაიკოს ყველაზე დიდი გულმემატკივარი და მარჯვენა ხელია, რომ არა დედა, მე ვერ შევძლებდი ამდენი წლის მანძილზე მხოლოდ ჩემი ძალებით ამ ყველაფერსო.

სულიერო პირები, (მამა **დიმიტრი კუკულა** და მამა **იოანე ნეცურანი**), რომლებიც დადუს სულიერებაზე ზრუნავენ (ცდილობენ, რომ სწორად მივიდინე და აზარონ. ემიგრანტები, არა მარტო ბორჯომიდან, არამედ სხვა ქალაქებიდან. მაიკო მიყვება, რომ უამრავ ემიგრანტს შორის ორ ემიგრანტ ქალბატონს გამოყოფს, რომლებიც იტალიაში ცხოვრობენ წლებია და მაიკოს ოჯახი და პირადად დადუს მათი ოჯახის წევრებად ითვლებიან, რადგან, როგორც ოჯახის წევრს, სწორედ ასე ემართებიან და უგზავნიან მათ იტალიიდან თანხასაც და ამანთსაც. მაიკომ სიხარულით აღნიშნა, რომ ერთ-ერთი ქალბატონი, რომელსაც ოთხი შვილიშვილი ყავს, მათთან სტუმრად იმყოფებოდა და დადუს მეხუთე შვილიშვილად თვლის. როგორც საკუთარმა ბებომ უპატრონოს შვილიშვილს ისე აქცევს ეს ქალბატონი ყურადღებას დადუსს. ნამდვილად აღნიშნის ღირსია ჩვენი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გვერდში დგომა დადუსთვის. მედიკამენტები წელიწადში დაახლოებით 5000 ლარამდე ჯდება, რომლის სავსესურსაც ადგილობრივი ბიუჯეტი სრულიად უზარაფს. დადუს დღემდე 5 სხვადასხვა სახის ოპერაცია აქვს ჩატარებული. ცოტა ხნის წინაც ასპირაციული პნევმონია დაუდგინდა და ისევე კლინიკაში მოუწიათ ყოფნა. დადუს ღვეჯორმირებული აქვს ორგანოები სქოლიონის გამო. დღესაც სუნთქვის გაძნელების გამო ტრახეოსტომა უდგას. ყველა იმ დიაგნოზს გათვალისწინებით, რაც დადუსს სამედიცინო კვლევებით აქვს ასეთი დიაგნოზით სამწუხაროდ ბავშვები 2 წლიამდე ცოცხლობენ, თუმცა მაიკო ამბობს, რომ ექიმები დღესაც მოკირებული არიან იმით, რომ მე საკუთარი ძალებით შევძელი და შვილს სიცოცხლე გაუზანგრომდივეო. იხსენებს ერთი ქალბატონის, ექვსი შვილის დედის ნათქვამ სიტყვებს, რომ მე მეგონა, რომ ჩემ შვილებს რამეს ვუკეთებდიო, თუმცა შენ რომ გიყურებ, ჩემ გაცუთებულზე საუბარი რა მოსატანიაო. დადუს ამ მიმე ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი კიდევ ერთი და გასაოცარი ამბავია, რომელიც

მაიკომ დაახლოებით სამი თვის წინ წამოიწყო. - სექტემბერში იყო, თბილისიდან მოვლიდით, საშურში ვიყიდე ყველაზე იაფფასიანი პალიტრა, ფუნჯები და რამდენიმე ტლო. ძალიან მინდოდა დადუსს დასაბჭა, ისე თითქოს უკვე ფეხზე დგას და გაიარა. დაახლოებით 15 წუთში დავსაბჭე, ნახატის შესრულებისას ძალიან დიდი ემოცია განვიცადე ვტიროდი ხატვისას - ამბობს მაიკო. მაიკოს ცხოვრებაში მანამდე ფანქარი და ფურცელი ხელში არც კი აუღია. დადუს ნახატს კი მათლაც საოცარია. ნახატის ერთ კუთხეში შხა პირის მტოვებული ეტლი დგას, ხოლო ხეების ხეივანში უკვე ფეხზე მდგომი დადუს ჩანს ზურგით. მაიკო მიყვება, რომ როდესაც დედა დაბრუნდა სამსახურიდან და ნახატი ვაჩვენე, ეგონა, რომ სხვამ მარტო, ძალიან მეწყინა, მაგრამ როდესაც სხვა ნახატის ხატვა დაიწყო და ნახა, რომ მე ვხატავდი, დაიჯერა და ბოდიშები კი მომიხადა. დარწმუნდა, რომ შემდეგ სხვა ნახატები კიდევ უკეთესი გამოუვიდა და მართალიც აღმოჩნდა. ნახატები საკუთარი ფეხებზე გვერდზე ატვირთა და უფალს მადლობდა სასწაულისთვის, რომელიც მან ხატვის წიქი მოუვლინა. თქვა, რომ თუკი ერთს გაყიდდა, აღარ მოუწევდა დახმარების თხოვნა. მის ნახატებს მართლაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა მეგობრების, ნაცნობების, სრულიად უცნობების შორიდან, რამაც სტიმული მისცა, რომ კიდევ ახალი შექმნას და საკუთარი შვილისთვის სულ მცირედი თანხა მინც ჰქონდეს მკურნალობისთვის. წარმოიდგინეთ, რომ ოთხი თვის წინ მე პირადად სხვას შევუკვეთე მეგობრობისთვის ნახატი საჩუქრად და ახლა მე შემიძლია, რომ თავად დავხატო. მაიკოსთვისაც დაუფრებელია, რომ მას ხატვა შეუძლია, ხანდახან მეგონა, რომ მე კი არა, ვილაც სხვა ხატავს ჩემს ნაცვლადო. ერთ ნახატში, რომელშიც ჩანჩქერი გამოსახული ვარგად თუ დააკვირდებით, ფეხზე მდგომი ღვთისმშობლის სილუეტს შენიშნავთ. ძირითად ნახატს პეიზაჟებს, ბუნებას, ყვავილებს. მასალა ტილოს და აკრილის საღებავებს იყენებს. ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც ხატვა დაიწყო, იმ რთული გრაფიკის მიუხედავად, რაც ყოველდღიურად დადუს მო-

ლაპატრონობას ეთმობა, დაწყებულმა საქმე თითქოს სიმშვიდე მოაპოვებინა. 8 წლის თვითრეალიზაციის უნარ-დაკარგულმა თავიდან იპოვა სიმშვიდე. სულ უნდა რომ ხატოს, ეძიოს დასაბატი თემატკა და რაც მთავარია, დაწყებული საქმიან და საკუთარი მკორედი შემოწავალი ჰქონდეს. საკუთარი ფეხებზე გვერდის გარდა სხვადასხვა სოციალურ გვერდებზე ანთავსებს თავის ნახატებს და ყიდის. და კიდევ, საყვარელი საქმიან ცდილობს, რომ სხვებიც გახაროს. ამბობს, რომ არც ერთი ადამიანი არ უნდა დაზოვოს უყურადღებოდ და თუკი რომელიმე ადამიანმა, ვინც კი მისი შვილისთვის თუნდაც 5 თეთრი გაიღო, თავისი მკორედი საჩუქარი ნახატის სახით გადასცეს. სწორედ ეს ჩანაფიქრი აქვს და ახორციელებს კიდევ უამრავ ადამიანს მიუტანა პირადად და გაუგზავნა ფოსტითაც თავისი ნახატები. მაიკოს აღნიშნული უწყები ეს არის მადლიერება მადლიერების სანაცვლოდ, მადლიერება, მადლიერების წილ. მომავალში დადუს კიდევ ერთი ურთულესი ოპერაცია ელის ხე-რეხმალზე, თუკი ამას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც მისცემს საშუალებას. თუმცა, დადუს პრობლემას კიდევ თან ერთვის ისიც, რომ თითქმის 20 წელიწადზე მეტია ნატარებ ბინაში ცხოვრობენ. ყველაზე რთული მათთვის ზამთრის პერიოდში ქრისა და პლიუს კომუნალურების გადახდა. მაიკო მარტოხელა დედის სტატუსის მქონე გახლავთ. მუშაობს მხოლოდ მაიკოს დედა, რომლის შემოსავალიც ამ ყველა ხარჯს ვერ სწვდება. დამერწმუნეთ, ვერც მაიკოს ნახატებიდან შემოსული თანხა ვერ აუფა ყველა ხარჯს, რაც მათ ყოველთვიურად სჭირდებათ. გასულ წელს კეთილი ადამიანების დახმარებით 3 თვის ბინის ქირა დაფარეს, თუმცა წინ ხომ სანგრძლივი ზამთარა დადუს კი ყველაზე მეტად სჭირდება სიბოში ყოფნა, რათა მისი მდგომარეობა კიდევ მეტად არ გაუარესდეს. ვისაც შეგიძლიათ, რომ მათი ყოფა გააუმჯობესოთ, არ დაიზაროთ და რთულ შედეგში დავეხმაროთ. სიკეთე ხომ გადადებია.

ნატო ვილიძე

ტრადიციულად, ე.წ. შავი პარასკევის ფარგლებში, მსოფლიოს მასშტაბით რეკორდული რაოდენობის პროდუქცია იყიდება. აღნიშნული კვირა მიწნეულია გაყიდვების ყველაზე აქტიურ პერიოდად.

ამ დღეს ფასდაკლებების მოწყობის ტრადიცია ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იღებს სათავეს, თუმცა ტერმინი „შავი პარასკევი“ 1966 წლიდან დამკვიდრდა. ტერმინის სამშობლოა ფილადელფიის შტატი და თავდაპირველად გამოიყენეს გზებზე დიდი საცობების აღსანიშნავად, მაღლიერების დღის მეორე დღეს.



ბევრი მომხმარებელი, სწორედ ამ თარიღს ელოდება, რათა სასურველი ნივთი განსაკუთრებით დაბალ ფასად შეიძინოს. ფასდაკლებებით შოპინგი, ქვება როგორც ადგილზე, ასევე ონლაინსაფარველსაც სხვადასხვა კომპანია ეწევა პარასკევის სხვადასხვა დღეს აცხადებს.

შავი პარასკევი - მაღლიერების დღის მეორე დღეა აშშ-ში და მთელს მსოფლიოში. დღე, რომელიც ხშირად მიიჩნევა საშობაო ვაჭრობის დასაწყისად. მრავალი მალაზია ამ დღეს აწყობს მასშტაბურ ფასდაკლებებს და აქციებს სხვადასხვა პროდუქციაზე. ზოგიერთ ამერიკის შტატში კი შავი პარასკევი დასვენების დღედ ითვლება.

ჩვენს პატარა ქალაქში არსებულმა მაღაზიებმა შავი პარასკევის აქციებით მნიშვნელოვანი ფასდაკლებები შესთავაზეს მომხმარებლებს.

სავაჭრო ქსელ „გუმდარტის“ სამეურნეო ნაწილში განსხვავებული ფასები, სხვადასხვა ნივთის შექმნის შედეგად 60 ლარის ნაცვლად 45 ლარად, 55 ლარის ნაცვლად 41 ლარად შეიქმნა სასურველი ნივთის. დიდი ფასდაკლებები საბავშვო საათამაშოებზეც 76-ის ნაცვლად 57 ლარად გაახარებთ პატარებს. შავი პარასკევის დასრულების შემდეგ უახლოეს ხანში საახალწლოდ ისევ განახლება დიდი ფასდაკლებები.

პროდუქტებზე ჩვენთან ზეთის შექმნა 5 ლარად და 10 თეთრად შესაძლებელია, ფქვილზე, ტყეხილულზე, სასმელებზეც გვაქვს აქციები, - საუბრობს ალენა მარკეტის მენეჯერმა **ჯულია ბაბურიშვილი**.

შავი პარასკევის ფასდაკლებებით ისარგებლებს მომხმარებლებმა 21 ნოემბრიდან 28 ნოემბრამდე ბორჯომში არსებულ მაღაზიაში „მეგატექნიკაში“

როგორც მალაზიის მეპატრონეებმა ჩვენთან საუბრობის გეთხრეს, შავი პარასკევის შემდეგაც ფასდაკლებები საახალწლო ფასდაკლებები. აღნიშნეს, რომ აქციის ფარგლებში ორჯერ მეტი ტექნიკა გაიყიდა ვიდრე იყიდებოდა.

„საუფთა სახლში“ კი ყველა პროდუქციაზე მხოლოდ ერთი დღით შექმნდა 20%-იანი ფასდაკლება.

შავი პარასკევის ფასდაკლებებით ისარგებლებს საფთაიქო ქსელების მომხმარებლებმაც. აქ, თქვენ 50, 30, და 20 პროცენტით ფასდაკლებები შემოგთავაზებდნენ.

სტატიაზე მუშაობისას ბორჯომელიც გამოვიტყვე, მოქალაქეების ნაწილმა უკვე ისარგებლა და შეიძინა ტელევიზორი, მაცივარი, მობილური, ქაბა-ტონმა ნინო სარეცის მანქანა აქციის ფარგლებში 1389 ლარის ნაცვლად 1299 ლარად შეძლო ყიდა.

დიდი ქალაქში მომხმარებლები ხშირად სარგებლობენ პროდუქტებსა და სხვადასხვა ნივთებზე გამოცხადებულ ფასდაკლებებით, რაც მისაღებია თითოეული მოქალაქისათვის. ბოლო პერიოდია იზიარადა, მაგრამ ბორჯომშიც შევამჩნიეთ მაღაზიებში აქციის ფარგლებში პროდუქტებზე მცირე ფასდაკლებებს, რაც მათთვის ვინც მუდმივად საჭიროებს ითვისოს პროდუქტზე გაზრდილი ფასები მნიშვნელოვანი შეღავათის წარმოადგენს.

მომზადდა ირა ინახაშვილმა

მიმდინარე წლის ივლისის ერთ-ერთ რესპუბლიკურ გაზეთში ცნობილია შურნალისტმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა **გიგლა გობეჩიამ** განაცხადა: „ამ ყველაფერს, რასაც დღეს ქართულ ტელეარხების ეთერში ვუყურებთ, ერთადერთი სახელი შეიძლება ვუწოდოთ - **მედიამართობა**“

ქართული შურნალისტიკის გადაგვარებას ნაცვლად დაუდეს სათავე, როცა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე კანონით განსაზღვრეს, რომ ვინც ინფორმაციას აგროვებს და მას მედიის საშუალებით ავრცელებს, ყველა შურნალისტად იწოდება... ევროპაში არ არსებობს „მთავარი არხის“ „TV პრევიისა“ და „ფორმულას“ მსგავსი მარაზმატული ტელევიზიები, რომელთა წარმომადგენლებსაც ხალხი ყოველ ნაბიჯზე ავინებს და აფურთხებს... კეზერაშვილისნაირი სისხლის სამართლის დამნაშავეს ევროპის არც ერთ ქვეყანაში ტელევიზიის გახსნის „უფლება“ არ მისცემდნენ...“

საქართველოში კი მისცეს! „წერა-კითხვის უცოდინარმა“, 2008 წლის ომის შემდეგ იარაღის გაყიდვით და სააკაშვილის მიერ ნებადართული სხვა მატყალებით უცაბედად გამოიჩინებულმა **„კეზერამ“** ტელევიზიამ, „მთავარი არხი“ დააფუნდა და მის გენერალურ დირექტორად საქართველოს პროკურორის ყოფილი მოადგილე **ნიკა გვარამია** დანიშნა.

მას შემდეგ მოგვევლინა „დიდ შურნალისტად“ ნაციონალების მხრიდან ერთ-ერთ „ობიექტურ“ კრიტიკოსად ნიკა გვარამია. ყველას გვახსოვს, ტელეეთერიდან პირდაპირ რომ მიუწოდებდა ნაცმომიტნებებს: „რალა უცდით, შევარდით პარლამენტში“, „შემოარტყით ალყა პარლამენტს!“ და ა.შ. **განსაკუთრებით კი იმით დაგვამახსოვრებია თავი, რომ ყოველ ნაბიჯზე იგინებოდა და ტელევიზიის აფურთხებს არ სწყნობდა.** ვუყურებდით და ვუსმენდით მას და გაცოცხლებული ვიყავით იმით, რომ ამ კაცს ზნეობა დაკარგული

ქონდა, „სირცხვილის გრძობის“ არსებობაზე სომ ლაპარაკი ზედმეტი იყო! გინებით მან ტელეწამყვან გაბუნასაც კი „გადაუჯოკრა“, **რომელმაც ადრე პუტინს დედა შეაგინა!**

ბოლო ათწლეულში სწორედ გვარამიამ შეუწყო ხელი იმას, რომ ტელეევრანებიდან იგინებოდა ყველა, ვისაც კი გინება მოესურვებოდა. ეს ფაქტები კი როგორ გავლენას ახდენდა და ახდენს მოზარდი თაობის აღზრდაზე, ყველას კარგად მოეხსენება. უფრო საკვირვე-



ლი ის იყო, რომ ამ კაცს ამ სიბილნისათვის პასუხი არავინ მოსთხოვა, პირიქით, აქეთ იმუქრობდა და იქადნიდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩააგულეს ხელი შეისწავლეს ტელეარხ „რუსთავი 2-ის“ საქმე და გვარამია ამხილეს დიდძალი თანხის - 6 მილიონ 700000 ლარის გაფლანგვაში (როგორც ჩანს, გიგი უგულავას 48 მილიონის გაფლანგვას „ბაძავა!“) და „ვირის აბანოში“ უკრეს თავი. მისი ყოველთვიური ხელფასი 100 ათასსაც კი აჭარბებდა! აი, რატომ იყო თურმე ასე გადიდებული და გაამპარტყანებული!

ეს სასამართლო მიმდინარე წლის ზაფხულის დასაწყისში ჩატარდა და მოსამართლე **ლამა ჩიკვაძემ** ნიკა გვარამიას 3 წელი და 6 თვე მიუსაჯა. აი, მაშინ კი ატყდა საქართველოში ამერიკის საელჩოსგან ერთი ამბავი! მოსამართლეს აიძულებდნენ, სასჯელი გაეწესებინა და გვარამია გაეთავისუფლებინა. მოსამართლე თავის მტკიცე პოზიციამ დაარჩა და საელჩოს ზენოლის ამბავი მედიას შეატყობინა. თურმე „ჩვენი“

„სტრატეგიული მეგობარი“ „დემოკრატიის და ადამიანთა უფლებების დამცველი“ აშშ ადრეც ფარულად და სისტემატურად ერეოდა და სააქართველოში ჩატარებულ სასამართლოების საქმეში და თავის დირექტივებს კარნახობდა სამართალდამცველებს. ეს ამბავი გასკდა. ახლად შექმნილი სახალხო მოძრაობის „ხალხის ძალის“ წევრმა - პარლამენტარებმა ამხილეს ამერიკის ელჩი ქალბატონი **კელი დეგანი** არა მარტო ამ საქმის მიკერძოებულობაში, არამედ, ნაციონალურ კავშირში და იმის სურვილშიც, რომ საქართველომ რუსეთის სანქციები დაუნესოს. ეს კი ჩვენი სახელმწიფოს ომში ჩაბმას ნიშნავს.

ქალბატონი ელჩი დამამცირებლად ზემოდას უყურებს პარლამენტარების საშიშლებს და აინუნშიაც არ აგდებს მათ. არც **„ხალხის ძალა“** იხევს უკან.

ახლანას საბავშვო სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოცხადებული ნიკა გვარამიას სასჯელი - 3 წელი და 6 თვე. ამ განაჩენს ამერიკის საელჩო კვლავ „ღრმა შეშფოთებით“ გამოეხმაურა: „გვარამიას პატიმრობა რისკის ქვეშ აყენებს ქართველი ხალხის ევროპულ მომავალს!“ აი, ასე უჭერს მხარს ამერიკის საელჩო მობილნისტყვავე „შურნალისტს“, რომელსაც რესპუბლიკურმა პრესამ სამართლიანად უწოდა **ქართული შურნალისტიკის და დემოკრატიის საყოველთაო სირცხვილი, უტიფარი, უზრდელო, არაკაცი ნიკა გვარამია**.

ახლა უკანასკნელ იმედს ჩაებლავს: პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა შეინყალოს ნიკა გვარამია! ნუთუ შეინყალებს ქალბატონი სალომე იმ კაცს, რომელიც ადრე მას ტელევიზიებით უშვერი სიტყვებით ლანძღავდა? ღმერთმა არ ქნას!

ურა ჯანგირაშვილი

უბრალოდ რელიგიური გუგამაყად

უკიდურად ჩვენი პატარა საქართველოს სიღამაზე, სულიერება თუ ადათ-წესები... ამას კიდევ ერთხელ დამარწმუნა 28 აგვისტოს - მარიამობას, გუდამაყარში სტუმრობამ... ჩემი უფროსი ტყუპისძალი ვაჟიშვილის მუდმივად - წარმოშობით გუდამაყარიდანაა - ჩიხიდან - ხატია-ფატიმა ჩიხელი - ოთხი შვილის დედა - იურისტ-ეკონომისტი...

ხატია, წლების უკან სიზმარში - თავის უფროს ვაჟს - საბასთან ერთად, თავზე თეთრ-ლენტ შემიხვეული მოზერო-კურატი ჩიხის ნმიდა გიორგის ტაძარში შესანიშნავ მიიყვანა.

ჰოდა, სიზმრის ასახედნად, შეკვთილი, სამწლიანი კურატის შესანიშნავ მზადებაში მყოფი, ოჯახში დატრო-ალბულმა მოულოდნელმა სიზმარემ - ჩემი მეუღლის გარდაცვალებამ, დროში გადაგვანაცვლა... წელს 28 აგვისტოს, დოლის 6 საათზე, სოფელ ტაძრისიდან, ყველგან-მავალი ორი ავტომანქანით ჩიხში გავემგზავრეთ... ფასანაურიდან დაიწყო ჩემთვის, ამ შტარეში პირველი მოგზაურობა. მივეყვებით შავი არაგვის ხეობას, თვალებს აქეთ-იქით ვაცვებ და მაინც ვერ ვგმაცოფილდები იქაურობის სილვით...

10 საათზე, სოფელ ჩიხის შესასვლელში - ხატას უფროსი ძმის - 28 წლის ულამაზესი ვაჟკაცის, პოლიციის აკადემიის დამთავრებულის, აფხაზეთის ბრძოლების გმირი მონანილის, შემდეგში ტრაგიკულად დაღუპული ჩიხის მეორეაღი თან ჩემრდებით - ებ-


სენებთ, სანთელს და ნათელს ვუძვლით და ჩემი მახლებს, თითქმის ასი წლის მამა-პაპურ, ქვითკირით ნაშენ, ერთსართულიან, უზარმაზარ ფართობის მქონე სახლს ვსტუმრობთ. ოჯახის უფროსი - ჩემი ასაკის ქალბატონი ნინო, მისი ვაჟები - გელა და გიორგი ცოლ-შვილებით, მამიდა და ბიძაშვილები დიდი სიყვარულით და დიდი სიბოთი გვეგებებიან... ლობის მეორე მხარეს - გოდერძი ჩიხელი ახლად-აშენებული, ორსართულიანი, ულამაზესი, თუმცა ჯერჯერობით ექსპოზიცია-მოუნყოფელი მუზეუმის შენობა და ახლად-კეთილ-მონყობილი უზარმაზარი ეზოა...

სოფელში ჩიხელები, ნიკაურები, ბექაურები და აფციაურები მხოლოდ ზაფხულობით ცხოვრობენ... მახლებს ეზოში - შესანიშნავი სამწლიანი კურატი და ორი ცხვარი ხეებზე - თოკით მიბმული გაუმზადებით... ხატია, თეთრ ლენტს კურატს ყელზე და თავზე უბანტავს - ისე როგორც სიზმარში ნახა და ფესტივალური, საბასთან, რატონთან და თავის ორ ძმასთან ერთად, მაღალ მთაზე მდებარე ჩიხის ნმიდა გიორგის ტაძარში უმოკლესი, თუმცა ციკაბო, საცალფეხო ბილიკით მიიანა...

დანარჩენები მანქანით, ვინრო, როულ - ცაში „ანდევილი“ სამანქანო გზას მივეყვებით - „გზას ვამბობ, თორემ რა გზაა...“ ჩიხის ნმიდა გიორგის სახელობის ტაძართან ვართ...

საოცრებაა, რითი აიტანეს სამწიქრობა მასალა?! ტაძრის გარშემო - ჩვენი ავტომანქანის მგავსად, მთის დაკიდულ კალთებზე „დაკიდული“ ათეულობით ავტომანქანა, ასეულობით ადამიანი, შესანიშნავი გამზადებული - სხვადასხვა ასაკის კურატები და ცხვრები - ალაგალაგ რკინის ბოძებზე დაკიდულ-გასატყაველები; გატყავებულნი, ან გამომიგნულ-დასაჭრელად გამზადებულნი; რკინის სამფეხაზე შემოდგომული უზარმაზარი, ან შემოდგომული პატარა ქვაბები; მოთუხთუხე ხორცი, თუ გამოილი სუფრა მოქვივე მოლოცვლებითურთ; ტაძრიდან ოდნავ მოშორებით, ნასახლარები და ქვის ნიშაა - უბედურ-ამოკვეთილი, სადაც

გოდერძი ჩიხელის ლოცვით ნამდვილი თოვლი მოვიდა... თავდაპირველად, გოდერძი სწორედ ამ ადგილზე ცხოვრობდა თურმე, სადაც დღეს მისი დედინაცვალი ცხოვრობს... მთის კალთაზე „სამხიდიანიცა“, საოცარია იმ გზაზე - „თორემ რა გზაა...“ საიდან ავიდა, შედ დაკლული შესანიშნავი ნაწლავები და თავ-ფეხისა, რომელიც, როგორც მითხრეს, სადაც შორს, სპეციალურად დიდი სიღრმის ამოთხრილი ორმოში იმარებდა...



საოცარი - წარმოუდგენელი ეგზოტიკა - თვალთ-უნახავი - გაუგონარი - არ გაგონილი და არ დანახული... ტაძრის გვერდით გადახურული ლია სურცა - 10 მეტრის მანძილიდან ქალებს ეკრძალებათ მისვლა... მამაკაცების უშველური ბელი რიგი და იქ მჯდომარე, ჩემთვის ვერ და არ დანახული **ხევისბერია**, რომელიც როგორც მისი დაცვით ლოცავს შემწივრებს, მის ოჯახს და თვითონ კლავს შესანიშნავს... ხევისბერთან გატყავებული და დაჭრილი ხორცის ნაწილი რჩება, რომელიც ნადირისთვის „დასაპურებლად“აა გათვალისწინებული... ჩვენი კაცებიც კურატით და ცხვრებით - როგორც ჩაღვენ ხევისბერთან.

ქალები და ბავშვები სალოცავად ტაძარში შევიდვიართ - როგორც მუხუნებიან ეს ჩიხელების ტაძარა... მამა-პაპიდან გადასული - ტაძარში ნმიდა გიორგის ნმიდა ნანილი -

მისი **ენა** დაბრძანებულია, ამიტომ აწყდება თურმე მთელი საქართველო ამ სინძინდს და ამ დიდი ნიშინდის ნმიდა ნანის... ელოცულობთ, სანთლები და მლოცველთა ოდენობა უთვალავია... მაღლობა უფალო ყოველივეს ხილვისათვის - ვიმეორებ ათასჯერ გულში... ხევისბერთან, ოთხსაათიანი რიგში დგომის შემდეგ გზებზედით სახლში... ეზოში, ხეების ჩრდილში, 60 კაციანი სუფრაა გაშლილი, თბილისიდან მობრძანებული მეგობრების საპატყაველად... სუფრაზე „ჩიტის რძეცა“, მაგრამ მოუვლესი კურატის და ცხვრების ხორციანი ერთად, ტაძარ-გამოვლილი, ხევისბერთან დალოცვილი ხაინის ქალები, მხოლოვანა, მთიულური ხაჭაპური და შემდეგ, ისევე ქალბატონ ნინოსგან გაკეთებული მთიულური - დაკეპილი ხიკაული - ისევე და ისევე, როგორც ამბობენ **ჩიხის ნმიდა გიორგის ტაძრის და ამ დღის შესანიშნავი...**

დანაყრების შემდეგ, თბილისიდან მობრძანებულ - ცნობილი ტელევიზიის პირველი არხის ადმინისტრაციული სამსახურის რამდენიმე თანამშრომელთან ერთად, მუსიკის პანგების გზას ვეხვით მივეყვებით... იგივე მთის, შედარებით დაბალ კალთაზე, სუფრებსა და მოქვივე მლოცველებს შორის გავლისას, მეორე ტაძართან აღმოვჩნდით - ჭარბულს ფუძის ანგელოზს“ ტაძარი - უმაღლესი გვამცნობენ გარშემოყოფნი...

პატარა ტაძარს, თავისევე პატარა ეზოთი გარს არტყავს მშრალი წყობით ამოყვანილი, დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის ქვის

გალავანი. გალავანზე - ქარის გამო ჩამქრალი უთვალავი სანთელი შორიდან - ყვითელ და ახლოდან - სანთლის გალავანად მიგვაჩინა... ქიშკარის ვუახლოვდებით - ტაძრის ეზოში მდგომი უცნობი მამაკაცი წინ ერთ ნაბიჯსაც არ გავდგმევინებს - „ეზოში მხოლოდ მამაკაცი, ტაძარში მხოლოდ აფციაურთა, ნიკააურთა, ბექაურთა ხევისბერი შედის და სხვა არავინ“... ეზოს გარედან, ქვის გალავანზე ვეძებთ ადგილს სანთლის საანთებლად და დასამაგრებლად, თან ვევედრებით ჩიხის ფუძის ანგელოზის ფუძის ანგელოზის გასაძლიერებლად და ჩვენი ოჯახების დასალოცად... ღმერთო, ყველაფერი საოცრებაა...

ჩვენიც - ქართველთათვის დამახასიათებელი უცნაურობიდან გამომდინარე, ჩიხელთა კარ-მიდამოში, ლამის პირველ საათამდე ისმოდა სადღერებელი მასპინძლის ხმა და სუფრასთან დაკავშირებული სასიყვარულო შეხასხლ-შემოძახილი... დიდი სიყვარულით და დიდი პატივისცემით, მილონი მაღლობით, ვემშვიდობებით მახლებს და მოვემუხვებით შინსაკენ... ადათის გადამეტყუაზე კი, ჩიხის ნმიდა გიორგი მიგვაჩინებს, თუმცა არ გვაჯის... უსაზღვროდ ვმაცოფილები გამოვემშვიდობებთ კეთილ მასპინძლებს. დიდი და მეტად რთული გზა ფათერაკებით გამოვიარეთ და მწ უდევს კამყოფილები დაგებრუნდით.

მაღლობა უფალოს, მაღლობა ჩიხის ნმიდა გიორგის, რომ შეინირა ჩვენი მოლოცვა. **ნიკააა ეკანაშვილი**

